ხელშეკრულება N166-EBRD
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

13. 05.2015წ.

თბილისი

სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის **გიორგი ხანიშვილის** სახით, შემდგომში - შემსყიდველი, ერთის მხრივ, **შპს „იუ ჯი თი“**, მისი გენერალური დირექტორის **ერმილე სულაძის** სახით, შემდგომში -- მიმწოდებელი, მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესაყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 ოქტომბრის N1904 განკარგულების „შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ 2015 წლის მაისის თვეში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) თბილისში გასამართი ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზებისათვის საჭირო საქონლის, სამშენებლო სამუშაოს და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს - **„2015 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) თბილისში გასამართი ყოველწლიური შეხვედრის მონაწილე სტუმრებისთვის საჭირო 20 ერთეული ფლეშმეხსიერების (64GB, სიჩქარის მახასიათებელი - USB 3.0) სახელმწიფო შესყიდვა** გამარტივებული შესყიდვის გზით (**CPV 30200000, 30234600 - ფლეშმეხსიერება)** - შემდგომში საქონელი.

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2040 (ორი ათასორმოცი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა გათვალისწინებით.

2.2 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.3 შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს მოსთხოვოს მიწოდებულ საქონელზე ანგარიშსწორება, მხოლოდ ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

2.4 მხარეებს შორის ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

მუხლი 3. საქონლის შესაბამისობა

3.1 ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული შესასყიდი საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველის მოთხოვნებსა და მსგავსი საქონლისთვის უკვე არსებულ სტანდარტებს.

3.2 3.1 პუნქტში აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მიწოდებული საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

მუხლი 4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მოსაწოდებელი საქონელი ან მისი ნაწილი მიღებულად ჩაითვლება ფაქტიურად მიწოდებულ შესყიდვის ობიექტზე, მიღება-ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს შემსყიდველსა და მიმწოდებლის მხრიდან გამოყოფილი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

4.2 ამ ხელშეკრულების ძალით მიწოდებული საქონლის ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - **გიორგი ხანიშვილი.**

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

ბ) საქონლის მიწოდების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტში გათვალისწინებული პირობით;

გ) შემსყიდველს მიაწოდოს ახალი ექსპლუატაციაში არ მყოფი საქონელი;

დ) საქონლის მიწოდება უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2 (ორი) კალენდარული დღის (2015 წლის 13 მაისიდან - 2015 წლის 14 მაისის ჩათვლით) განმავლობაში;**

ე) ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებისას, საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

ვ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ;

ზ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

ბ) საამისოდ შერჩეულ პირთან და/ან პირებთან (ინსპექტირების ჯგუფი) ერთად აწარმოოს კონტროლი მომსახურების გაწევის ვადების მიმდინარეობაზე, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს მომსახურების გაწევის მიმდინარეობა.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლების მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლებელი ძალის მოვლენები მოჰყვა, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების დარჩენილი ღირებულების **1%** არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დაღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 8. ინსპექტირება

8.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას, მათ შორის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადებში მიმდინარეობას, ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: **ალექსანდრე ხუსკივაძე და მიხეილ სანდაძე.**

8.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მის შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან.

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია დაემორჩილოს ინსპექტირების ჯგუფის ყველა კანონიერ მოთხოვნას, ხელი შეუწყოს თავისი საქმიანობის განხორციელებისას და შეუქმნას ჯგუფს ყველა პირობა ნორმალური მუშაობისათვის.

8.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

8.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მიერ (ან მხარეთა შეთანხმების აქტით) დადგენილ გონივრულ ვადაში უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მეირ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და/ან სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

9.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება თუ:

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე.

მუხლი 10. უფლებების გადაცემა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 11. შეტყობინება

11.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მოწოდების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

12.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.5 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

12.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე – **2015 წლის 15 ივნისის** ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი: სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გულუას ქ. N4, ტელ: (95 32) 601 601, საიდენტიფიკაციო კოდი: 205081249, საბანკო რეკვიზიტები: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ბანკის კოდი: TRESGE22 მიმღების ანგარიში 200122900, სახაზინო კოდი 707027324.

ხელმოწერა_____ **გიორგი ხანიშვილი**

ბ.ა.

მიმწოდებელი: შპს „იუ ჯი თი", მისამართი: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N17ა, საიდენტიფიკაციო კოდი: 204892964, საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. "საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ა GE88BG0000000261644601.

ხელმოწერა_____ **ერმილე სულაძე**

ბ.ა.